

პროდუქტის კატეგორიები

"შპაკი" თაბაშირისა და პერლიტის ბაზაზე დაფუძნებული პრაიმერი



პროდუქტის შესახებ

პრაიმერი, თაბაშირის ბაზაზე დაფუძნებული, აფართოებს პროდუქტის შესაძლებლობებს, გამდიდრებულია დანამატებით, მაღალი ხარისხის, პერლიტური. შეესაბამება AZS 052 (TS 6433) სტანდარტს.

გამოყენების სფეროები

პრაიმერი გამოიყენება:

- შენობის შიგნით, ბეტონის ზედაპირებზე, გაზობეტონზე, ბლოკზე, აგურსა და ცემენტისა და ქვიშის ბაზაზე მომზადებული ნარევიტ შელესილ ზედაპირებზე;
- სამრეწველო და სამოქალაქო შენობების, სასტუმროების, საავადმყოფოებისა და ვილების შიდა კედლებზე.

უპირატესობები

- o ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, არ ვნებს ადამიანის ორგანიზმს, დაფუძნებულია ბუნებრივ თაბაშირის ქვაზე;
- o ადვილად მოსამზადებელი;
- o შემადგენლობას არ ემატება PBA წებო და სხვა დანამატები;
- o ხასიათდება მაღალი წებვადობით;
- o გამოიყენება და დაიტანება დანაკარგის გარეშე;
- o მუშაობისას მარტივი და სასიამოვნოა;
- o არ იკეთებს ბზარებს, მყარი პრაიმერია;
- o კედლები სუნთქავს

მოხმარების წესები

ზედაპირის მომზადება. ყურადღება გაამახვილეთ დასამუშავებელი ზედაპირის მდგომარეობაზე, რომელიც უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა და სწორი ზომების, ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ზეთოვანი და პარაფინის ლაქებისაგან, რომელიმაც შესაძლოა შეამციროს ზედაპირის წებვადობა. ზედაპირზე 5-6მმ ზომის ბზარებისა და ღიობების არსებობისას, დამუშავებამდე ერთი დღით ადრე უნდა ამოივსოს Filkret ან ანალოგიური პროდუქტის ნარევიტ. დასამუშავებელი ზედაპირი უნდა დანოტივდეს ან დამუშავდეს ბაზირებული Binmader ან ანალოგიური პროდუქტით.

ნარევის მომზადება. 10 კგ მშრალი ნარევი ეტაპობრივად შეურიეთ 6,0-6,5 ლიტრ წყალში და 3-4 წუთიანი ლოდინის შემდეგ აურიეთ მიქსერით ან მექანიკური ინსტრუმენტით, ერთგვაროვანი ნაერთის მიღებამდე. შერევის შემდეგ არ დაამატოთ მშრალი მასა ან წყალი.

გამოყენება. მზა პრაიმერი “AGDAĞ astar” დაიტანეთ ცემენტისა და ქვიშის ნაერთით შელესილ ზედაპირებზე. დატანილი ფენის სისქე უნდა იყოს არანაკლებ 3-5 მმ. დასამუშავებელი ზედაპირის ტიპის მიხედვით “AGDAĞ astar”-ის ხარჯვის ნორმა შეიძლება შეიცვალოს. “AGDAĞ astar”-ით დამუშავებიდან 24 საათის შემდეგ, ზედაპირზე შეიძლება დატანილ იქნეს საფინალო პრაიმერი. პრაიმერი “AGDAĞ

astar” უნდა გამოიყენოთ 100-120 წუთის განმავლობაში. არ გამოიყენოთ ნარევი, რომელსაც გამოყენების დრო გაუვიდა ან ზედაპირზე გაიკეთა მყარი ბურთულები.

რეკომენდაციები. პრაიმერის “AGDAĠ astar” გამოყენებისას გარემოსა და ზედაპირის ტემპერატურა უნდა იყოს მინიმუმ +5°C. გარემო ტემპერატურის +5°C ნაკლებობის ან +30°C მეტობისას უნდა უზრუნველვყოთ სათანადო ტემპერატურა. ცხელ (+30°C-ზე მეტ), წვიმიან ან ქარიან ამინდში არ გამოიყენოთ პრაიმერი. გამოყენებული ჭურჭელი და ხელსაწყოები უნდა იყოს სუფთა. გამოყენების შემდეგ ჭურჭელი და ინსტრუმენტები გარეცხეთ წყლით.

ტექნიკური მონაცემები

ფერი	თეთრი
გამოყენების ტემპერატურა	+5°C ÷ +30°C
მინიმალური სისქე გამოყენებისას	3 მმ
გამოყენების ხანგრძლივობა	100-120 წთ.
გამყარების ხანგრძლივობა	200-220 წთ.
თანაფარდობა წყალი/მშრალი ნარევი	6,0-6,5 ლ წყალი / 10 კგ მშრალი ნარევი
შრობის ხანგრძლივობა	დაახლოებით 2-3 დღე
დაჭიმვის სიმტკიცე: მობრისას შეკუმშვისას	1,7 MPa 3,8 MPa
სიმკვრივე: შზა თხევადი ნარევი მშრალი ნარევი	1,5 კგ/ლ 0,7 კგ/ლ
ზედაპირის სიმტკიცე	50 Shore D
შეფუთვა	25 და 30 კგ ლამინირებული პოლიპროპილენის ტომრები, 25 კგ ტომრები 2 ან 3 შრიანი მძლავრი ქაღალდი და - ერთშრიანი პოლიეთილენი

ხარჯვის ნორმა

სწორი ზედაპირის, სისქით 3-5 მმ, მისაღებად გამოიყენება 3-5 კგ "AGDAĞ astar".

შენახვის ვადა და წესები

შენახვის ვადაა 6 თვე. უნდა ინახებოდეს მშრალ და დახურულ საწყობებში გაუხსნელი ტომრებით, შეფუთული ტომრების ზედაპირის არ შეხების პირობით, ხის პალეტზე არაუმეტეს 10 მწკრივად.

გაფორმება

- ყურადღება მიაქციეთ წყლისა და ჭურჭლის სისუფთავეს;
- არ დაუმატოთ არანაირი ნივთიერება მზა პრაიმერს "AGDAĞ astar" ;
- ზემოთხსენებული მაჩვენებლები მიღებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგად, გარემოში ტემპერატურით $+23^{\circ}\text{C} \pm 2^{\circ}\text{C}$ და ტენიანობით $50\% \pm 5\%$. მონაცემები შეიძლება შეიცვალოს გარემო-პირობების შესაბამისად.

გარანტია და ტექნიკური მხარდაჭერა

- ტექნიკურ მონაცემებში მოწოდებული ინფორმაცია ეფუძნება მეცნიერულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- პროდუქციის შესაბამის ტექნიკურ პირობებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კომპანია "Matanat A"
- კომპანია "Matanat A", გარდა კომპანიის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარებული სამუშაოებისა, არ არის პასუხისმგებელი იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სხვა მომხმარებლების მიერ აპლიკაციის წესების დარღვევით შესრულებული სამუშაოს დროს.;
- კომპანია იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გამო;
- ტექნიკური მხარდაჭერისა და დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ კომპანია "Matanat A"-ს!